ს.ს.ი.პ. ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის №2 საჯარო სკოლა
LEPL Kvareli MunicipalityVillage Akhalsopeli Public school №2

ს/კ 241559773 საფოსტო ინდექსი 48 02 ტელ: 577 122 306

05/12/2025

MES 5 25 0001740344

სსიპ-საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

სსიპ - ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის N2 საჯარო სკოლის 2025 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის "ინფორმაციის თავისუფლების" თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის N2 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის N2 საჯარო სკოლის 2025 წლის 04 დეკემბრის №1/კ-38 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის N2 საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი მარიამ ბერიანიძე.

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 0 (ნული) განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა.

ბ) დაკმაყოფილდა 0 (ნული) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა. საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში არ ყოფილა შეტანილი და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.
სსიპ -ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის N2 საჯარო სკოლის 2025 წლის წლიურ ანგარიშს აგრეთვე წარმოგიდგენთ ცხრილის ფორმით:

ანგარიში	რაოდენობა
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილებული	0 (ნული)
გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული	0 (ნული)
მოთხოვნა საჯარო მონაცემთა ბაზის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის თაობაზე	0 (ნული)
მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის სხვისთვის გადაცემის თაობაზე	0 (ნული)
ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ	0 (ნული)
ინფორმაცია დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ	0 (ნული)

პატივისცემით,

კახეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / ქალაქ
ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრი /
საჯარო სკოლები / ყვარლის
მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის №2
საჯარო სკოლა
დირექტორის მ/შ
ლუხოშვილი ფატი